MES 8 22 0001197001

30/09/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 16.09.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:06 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ირინა გველესიანი - სსიპ -** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
3. **ხათუნა თოდაძე -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
4. **მაკა კაჭარავა -** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
5. **ირინა ლობჟანიძე -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
6. **თეა მჭედლური -** სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს „ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;

8. **თამარ სირაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
9. **დავით ტეფნაძე -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
10. **ეკატერინე შაკიაშვილი -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. **დავით ჩოჩიშვილი -** სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
12. **ნინო ჭალაგანიძე -** შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
13. **გურანდა ჭელიძე -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი;
14. **თამარ ზარანდია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ანა ლელაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	**თამთა ანთიძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	**ანა ქოიავა**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულება	სტატუსი	საკითხი
1	ვლადიმერ ღლონტი		პროფესორი, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
2	ლელა თურმანიძე		პროფესორი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი	I
3	ნანი მამულაძე		სოცირებული პროფესორი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის	I

		სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
4	ქეთევან გოლეთიანი		პროგრამის ხელმძღვანელი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი	I
5	ნანა მაკარაძე		პროგრამის ხელმძღვანელი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი	I
6	ლელა თავდგირიძე		ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი	I
7	დავით წასიძე	ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II
8	ნიკა გიგაური		ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	II
9	გიორგი ტომარაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	II
10	ბაკურ კვაშილავა		პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი	II
11	ნათია ჭიღვარია		პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის ადმინისტრაციული ხელმძღვანელი	II
12	შალვა ჭკადუა	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზტუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III
13	მარინე კვაჭაძე		პროფესორი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III
14	სალომე ჭელიძე		ასოც. პროფესორი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III
15	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV-IX
16	ხათუნა მხეიძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	IV-IX
17	ნუგზარ წერეთელი		ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი	IV-IX
18	ანზორ აფშილავა		სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი.	IV-IX
19	ლენა შატაკიშვილი,		ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანი.	IV-IX
20	შალვა კელეპტრიშვილი			IV-IX

			სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
21	მამუკა მაისურაძე		ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.	IV-IX
22	ქეთევან ქუთათელაძე,		ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV-IX
23	მაია მშვილდაძე		ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	IV-IX
24	ზურაბ საბაშვილი,		მეტალურგიის, მასალათმცოდნეობის და ლითონების დამუშავების დეპარტამენტის უფროსი.	IV-IX
25	თეიმურაზ ჭეიშვილი,		„მასალათმცოდნეობის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.	IV-IX
26	გიორგი ჭიაურელი,		„საინჟინრო გეოდეზიის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.	IV-IX
27	მარეხ სადუნიშვილი		„საინჟინრო გეოდეზიის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.	IV-IX
28	ნოდარ მათიაშვილი,		„საინჟინრო გეოდეზიის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.	IV-IX
29	თენგიზ ჯიშკარიანი		„ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.	IV-IX
30	გელა ჯავახიშვილი,		პროფესორი.	IV-IX
31	გრიგოლ ხელიძე		პროფესორი	IV-IX
32	ავთანდილ ასათიანი,		ასოცირებული პროფესორი.	IV-IX

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	ვასილ კიკუტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ქეთევან თოდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ანი ქვათაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	გიორგი ფარეშიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	გვანცა აბდალაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	ირინე ქურდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	თამარ ალექსიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
8	ავთანდილ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV, V
9	ციცინო თურქაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
10	ინგა ბოჭოიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
11	მამუკა ბენაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VII, VIII, IX

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „პოლიტიკის მეცნიერების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საინჟინრო გეოდეზიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საინჟინრო გეოდეზიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საინჟინრო გეოდეზიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
9. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· კი

ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშრებით.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „პოლიტიკის მეცნიერების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
6.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საინჟინრო გეოდეზიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

8. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საინჟინრო გეოდეზიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
9. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საინჟინრო გეოდეზიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1.პირველისაკითხი : სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	განათლების ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ავტორიზებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 27 აგვისტო N 56
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების ადმინისტრირების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ბათუმი 6010, ნინოშვილი/რუსთაველის ქ.№35/32, უნივერსიტეტის კორპუსი I
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- ნინო ჭალაგანიძემ და თამარ სირაძემ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტმა, ვასილ კიკუტაძემ განაცხადა, რომ პროგრამა დაწესებულებაში ფუნქციონირებდა 2011 წლიდან, პროგრამას შეუჩერდა აკრედიტაცია 2021 წელს და შესაბამისად ხორციელდებოდა ავტორიზებულ რეჟიმში. წინა აკრედიტაციის პროცესში შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების თვალსაზრისით პროგრამაში გათვალისწინებული იყო არაერთი დეტალი და ნიუანსი, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა გარკვეული რეკომენდაციები და რჩევები. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა შრომის ბაზრის კვლევის მასშტაბების გაფართოებას, ვინაიდან აღნიშნული პროგრამა არ იყო მორგებული მხოლოდ აჭარის რეგიონზე და ასეც რომ ყოფილიყო პროგრამა მოქცეული იყო უფრო ფართო კვლევის არეალში. ასევე სწავლის შედეგების რუკასთან მიმართებით დასაკონკრეტებელი იყო საგნების მონაწილეობა შედეგების გაცნობასა და განმტკიცებაში. გარდა ამისა, ისეთი სასწავლო კურსები როგორიც იყო „განათლების ფსიქოლოგია“, „მარკეტინგის მენეჯმენტი“ უნდა შეცვლილიყო მათი სტატუსი, აღნიშნული კურსები მოცემული იყო არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში, თუმცა კვალიფიკაციიდან გამომდინარე საჭიროდ იქნა მიჩნეული აღნიშნული კურსების სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში გადატანა. „კვლევის სტატისტიკური მეთოდების“ , „პროექტების მართვა და ფონდების მოზიდვა განათლების სისტემაში“ კურსების შინაარსთან მიმართებით გაცემული იქნა რეკომენდაცია ტექნოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებით. რაც შეეხებოდა სამაგისტრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობას, ის სავალდებულო კურსები რომელიც გათვალისწინებული იყო სამაგისტრო ნაშრომამდე უნდა ყოფილიყო სამაგისტრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობა. ანალოგიური რეკომენდაცია ეხებოდა პროფესიულ პრაქტიკასაც. რაც შეეხებოდა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესს, სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენდა კვლევით კომპონენტს, შესაბამისად მისი შეფასების წესი განსხვავდებოდა სასწავლო კომპონენტის შეფასების წესისგან. აღნიშნულთან დაკავშირებით გაცემული იქნა რეკომენდაცია შეფასება განხორციელებული ყოფილიყო ერთიანად კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების თანახმად. ასევე რეკომენდირებული იყო ხარისხის შიდა დოკუმენტების მუდმივი შეფასება და განახლება. ექსპერტებისათვის საუკეთესო პრაქტიკა გამოიხატა დახვეწილ შიდა ელექტრონულ სისტემაში, რომელიც შესაძლო იყო მიჩნეული ყოფილიყო საუკეთესოდ არსებულ რეალობაში. რაც შეეხებოდა წინამდებარე ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, ფაქტობრივად ყველა რეკომენდაცია იყო

გათვალისწინებული. პროგრამა მოცემულ ეტაპზე მოქმედებდა და ჰყავდა სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართადა წესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სრულად ეთანხმებოდნენ დასკვნაში წარმოდგენილ რეკომენდაციებს, მიჩნეული იყო, რომ რეკომენდაციები ემსახურებოდა პროგრამის განვითარებას და მათი შესრულება სავსებით რეალისტური იყო ერთი წლის განმავლობაში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა „მარკეტინგის მენეჯმენტის“ საგნის სტატუსის ცვლილების მოთხოვნით, მისი განცხადებით პროგრამა გახლდათ განათლების ადმინისტრირება, მისი მოსაზრებით პირდაპირ მარკეტინგის საგანს შესაძლებელი იყო გაერთულებინა პროგრამა. შესაბამისად ხომ არ იქნებოდა უმჯობესი შემუშავებულიყო ისეთი კურსი, რომელიც დააკავშირებდა მარკეტინგს და განათლებას.

ექსპერტმა განაცხადა რომ პროგრამა ანიჭებდა განათლების ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს და არა განათლების მეცნიერებების მაგისტრის ხარისხს, შესაბამისად მისი მოსაზრებით უმჯობესი იქნებოდა თუ კურსდამთავრებულს ეცოდინებოდა მარკეტინგის საკითხები, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ ის სამომავლოდ დასაქმდებოდა ადმინისტრირების კუთხით განათლების სფეროში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ როგორ ხორციელდებოდა კვლევის მეთოდებში დასკვნითი გამოცდის ჩაბარება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გამოცდა კვლევის მეთოდებში იყო კომბინირებული, გამოცდაზე არ იყო წარმოდგენილი თეორიული საკითხები, გამოცდა მოიცავდა სიტუაციების ანალიზს, სხვადასხვა კვლევებიდან დასმული იყო პრობლემები მაგისტრანტს შუალედურ გამოცდაზე ევალებოდა შეემუშავებინა კვლევითი ჰიპოთეზა, საკვლევი კითხვები, საკვლევი პრობლემისათვის შეერჩია შესაბამისი კვლევის მეთოდი, დაეგეგმა და წარმოედგინა კვლევის ეტაპები, ხოლო მე-15 კვირაში სტუდენტს ევალებოდა კვლევითი პროექტის წარმოდგენა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტების რეკომენდაცია ეხებოდა კვლევის მეთოდებში თანამედროვე კვლევის ტექნოლოგიური ინსტრუმენტების ინტეგრირებას, რისი რესურსიც დაწესებულებას ჰქონდა და აუცილებლად მოხდებოდა სხვადასხვა პროგრამების ჩართვა აღნიშნულ კურსში.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამაში გათვალისწინებული იყო საგანი „ხარისხის მართვა უმაღლეს განათლებაში“ და საგანი „ზოგადი განათლების მართვა“, რომელშიც ერთი თავი ეთმობოდა ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებს. მაშინ როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ფიქსირდებოდა ხარისხის უზრუნველყოფის დეფიციტი, ხომ არ თვლიდა დაწესებულება რომ საგანს „ხარისხის მართვა უმაღლეს განათლებაში“ ასევე მოეცვა როგორც ზოგადი განათლება, ასევე განათლების სხვა ეტაპებიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სხვადასხვა სასწავლო კურსებში შეტანილი იყო საკითხები ხარისხის მართვასთან დაკავშირებით, ვინაიდან უმაღლესი განათლების ხარისხის მენეჯმენტი გახლდათ სპეციფიკური სწორედ ამ თვალსაზრისით შეიმუშავა დაწესებულებამ ცალკე საგანი.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა „ორგანიზაციული მართვის“, „სტრატეგიული მართვის“ და „ადამიანური რესურსების მართვის“ სილაბუსებთან დაკავშირებით იკითხა, თუ რამდენად იყო აღნიშნული საგნების შინაარსი შესაბამისი განათლების ადმინისტრირების პროგრამისათვის. ასევე ცალკე გაწერილი თემატიკები სემინარებისათვის შესაძლოა საინტერესო ყოფილიყო, თუმცა იბადებოდა კითხვა რამდენად დაძლევადი იყო მითითებული სახელმძღვანელოები, რომლებიც უმეტესწილად გაჯერებული იყო კომპანიების მაგალითებით. ასევე აღსანიშნავი იყო, რომ ინგლისურ ენაზე გამოცემული იყო არაერთი საინტერესო

სახელმძღვანელო და დაწესებულებას შეეძლო მათი გამოყენება. ასევე პროგრამის მენეჯმენტის საგნებით გაჯერება, ხომ არ შექმნიდა პროგრამის პრიორიტეტად მენეჯმენტს, მაშინ როდესაც პროგრამას განათლება ჰქონდა ორიენტირად.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კლასიფიკატორით ცალსახად იყო განსაზღვრული განათლების ადმინისტრირება მენეჯმენტის მიმართულებად. წინა წელს პროგრამას აკრედიტაციაზე უარი ეთქვა სწორედ იმიტომ, რომ მენეჯმენტის საგნები იყო ნაკლები და ჭარბობდა განათლების საკითხები. აღნიშნული ფაქტის შემდგომ პროგრამის მოდიფიცირების პროცესში ორიენტირი აღებული იქნა მენეჯმენტზე იმ სპეციფიკის შენარჩუნებით, რომელიც ახლდა განათლების ადმინისტრირების პროგრამას. შესაბამისად მათ მიერ წარმოდგენილი პროგრამა გახლდათ ქმედითუნარიანი და დაწესებულებას ჰქონდა მოლოდინი იმისა, რომ პროგრამას განახორციელებდა მოცემული სახით.
ექსპერტმა, ვასილ კიკუტაძემ განაცხადა, რომ სწორედ სპეციფიკის ნაკლებობა რომ გამოჩნდა პროგრამაში, ჯგუფმა მოითხოვა სიტუაციური ანალიზების დამატება, რაც ასახულია მის მიერ წარმოდგენილ დასკვნაში.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ ნამვილად რთული იყო ასეთი პროგრამის გატანა საბჭოზე, ნამდვილად მნიშვნელოვანი იყო ბალანსის დაცვა საგნებს შორის, უბრალოდ რომელიმე სასწავლო კურსისთვის მენეჯმენტის მიწერა და მიზანში სხვა რამის გადმოცემა ვერ გადაწყვეტდა პრობლემას. ერთ-ერთი სასწავლო კურსის მიზანი გახლდათ სტუდენტისათვის მიეცა პროფესიული ცოდნა საგანმანათლებლო დაწესებულებების გრძელვადიანი მენეჯმენტის სფეროში, გამოემუშავებინა დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავების უნარი. აღნიშნულ კონკრეტულ საგანში მოცემული თემატიკით და ლიტერატურით აღნიშნული ვერ იქნებოდა მიღწევადი. შესაბამისად ვერ წარმოჩნდებოდა პროგრამა იმ შესაძლებლობებით რაც მასში იყო გათვალისწინებული. ამიტომ კარგი იქნებოდა სამომავლოდ დაწესებულებას გაეთვალისწინებინა მოცემული საკითხი.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს კურსდამთავრებულებმა, რომლებიც კარგად იყვნენ სხვადასხვა სტრუქტურებში გადანაწილებულები როგორც საშუალო ასევე მაღალი რგოლის მენეჯერების პოზიციებზე და მათთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ კარგად იცოდნენ თავისი საქმე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:40
დასრულების დრო: 15:03

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 2024 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის

განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2024 წლის 31 დეკემბრამდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია შრომის ბაზრის კვლევის მასშტაბების გაფართოება, როგორც რეგიონის, ისე ქვეყნის დონეზე, რაც სისტემურად და სრულად წარმოაჩენს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.
- რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა გაცნობის და განმტკიცების ნაწილში, კერძოდ დაკონკრეტდეს და რუკაზე სრულად აისახოს პროგრამის რომელი კომპონენტები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების გაცნობას და განმტკიცებას.
- რეკომენდებულია, პროგრამაში სავალდებულო სასწავლო კურსების სახით შეთავაზებული იქნეს განათლების ფსიქოლოგიის და მარკეტინგის მენეჯმენტის სასწავლო კურსები, რისთვისაც საჭირო იქნება მოცემული სასწავლო კურსების სტატუსის ცვლილება, რადგან ისინი პროგრამაში წარმოდგენილია როგორც არჩევითი სასწავლო კურსები;
- რეკომენდებულია, პროგრამის კვლევით კომპონენტზე - სამაგისტრო ნაშრომზე დაშვება მოხდეს პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კომპონენტების ათვისების შემდეგ;
- რეკომენდებულია პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტზე - პროფესიული პრაქტიკა 1 და პროფესიული პრაქტიკა 2 დაშვება მოხდეს პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კომპონენტების ათვისების შემდეგ.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსში „კვლევის სტატისტიკური მეთოდები" გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის განახლება, რათა სტუდენტებს ქონდეთ მეტი წვდომა დარგის უახლეს მიღწევებზე, თუნდაც კვლევის სტატისტიკური მეთოდებში რომელიმე ტექნოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენებაზე (მაგ. SPSS). ხოლო, სასწავლო კურსში „პროექტის მართვა და ფონდების მოზიდვა განათლებაში" თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად უპრიანია გამოყენებული იქნეს პროექტების მართვის რომელიმე თანამედროვე ტექნოლოგიური ინსტრუმენტი (მაგ. Ms Project, Trello და სხვა)
- რეკომენდებულია, ცალკეული კურსები (ჩამონათვალი ეკა ნაცვლიშვილი) გამდიდრდეს დარგის შესაბამისი თანამედროვე ლიტერატურით (დაემატა რეკომენდაცია)
- რეკომენდებულია გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წარმოდგენილი წესი, კერძოდ კი გაუქმდეს ნაშრომის შეფასებისას რეცენზენტის შეფასებისა და დაცვის კომისიის შეფასებისთვის დაწესებული მინიმალური კომპეტენციების ზღვარი და სამაგისტრო ნაშრომი შეფასდეს ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3-ის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული სისტემით.
- რეკომენდებულია პერიოდულად მომზადდეს პროგრამის ერთიანი ანგარიში შიდა ხარისხის შეფასების შედეგებისა და განხორციელებული ცვლილებების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს დაგეგმილი ცვლილებების განხორციელებას და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ეფექტურ კონტროლს.

რჩევები:

- სასურველია პროგრამის მიზანში მეტად გამახვილდეს ყურადღება იმ ფაქტზე, რომ პროგრამა ორიენტირებულია ზოგადი და უმაღლესი განათლების საფეხურზე ადმინისტრირების სპეციალისტების მომზადებაზე;
- სასურველია პროგრამის მენეჯმენტმა იფიქროს პროგრამის სტრუქტურაში მენეჯერული აღრიცხვის სასწავლო კურსის სავალდებულო სახით შეთავაზებაზე, რაც კიდევ უფრო გაუძლიერებს პროგრამის სტუდენტებს მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების უნარებს;
- სასურველია პროგრამის სტრუქტურაში კურსის შინაარსის და სტრუქტურის გათვალისწინებით განხორციელდეს ორი სასწავლო კურსის "კვლევის მეთოდები განათლებაში" და "კვლევის სტატისტიკური მეთოდები", ჩამოყალიბება ერთ სასწავლო კურსად, რაც პროგრამაში გარკვეული ცვლილებებისთვისაც გამოათავისუფლებს ადგილს.
- სასურველია, სასწავლო კურსებისთვის შედგენილი რიდერები განთავსდეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.
- სასურველია, პრაქტიკის განმავლობაში სტუდენტების საქმიანობა შეფასდეს, ან მოქნილი მონიტორინგი გაუკეთდეს პრაქტიკის განხორციელების ადგილზე;
- სასურველია ზოგიერთ სასწავლო კურსში გამოყენებული შეფასების კომპონენტების და მეთოდების არჩევისას მეტად იქნეს გათვალისწინებული კონკრეტული კურსის სპეციფიკა, მაგალითად სასწავლო კურსში „სტრატეგიული მენეჯმენტი" უმჯობესია გამოყენებული იქნეს ე.წ. ისეთი შემთხვევის ანალიზი, რომლებიც ასახავენ საგანმანათლებლო ორგანიზაციების სპეციფიკას;
- სასურველია დაწესებულებამ გააქტიუროს მოქმედება ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით და მეტად იზრუნოს უნივერისტეტში შემუშავებული ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ფარგლებში პროგრამის სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ჩართულობაზე;
- სასურველია ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება დაუთმონ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას სამაგისტრო ნაშრომის თემატიკის განსაზღვრისა და ნაშრომის შესრულების არსებული სტანდარტის სრულფასოვანი გათვალისწინების ასპექტებს;
- სასურველია პროგრამის ბიუჯეტში უფრო დეტალურად ჩაიშალოს პროგრამის განხორციელებასა და განვითარებასთან დაკავშირებული ხარჯები;
- სასურველია პროგრამას თან ახლდეს დეტალური ანგარიში აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ;
- სასურველია ანალოგი პროგრამების ანალიზის დროს უსდ-მ მეტად წარმოაჩინოს თუ როგორ არის პროგრამაში გათვალისწინებული საერთაშორისო პრაქტიკა ან რის გაუმჯობესებას გეგმავს მასზე დაყრდნობით მომავალში;
- სასურველია გამოკითხვის შედეგების ანალიზი იყოს უფრო ინფორმატიული, რისთვისაც კარგი იქნება დაიხვეწოს გამოკითხვის არსებული ფორმები და შედეგების ანალიზში ნათლად იყოს გამოკვეთილი ხარისხის სამსახურის შეფასება მიღებულ შედეგებთან მიმართებით.

2.მეორე საკითხი: ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „პოლიტიკის მეცნიერების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებულია 2022 წლის 20 იანვარი N 45170
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 8
9	კვალიფიკაციის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 - პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი 0108, მარი ბროსეს ქ.№2
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭო სწევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტმა გვანცა აბდალაძემ განაცხადა, რომ პროგრამასთან მიმართებით გაცემული იყო შვიდი რეკომენდაცია, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში მოცემული იყო ინფორმაცია თუ როგორ იქნა შესრულებული აღნიშნული რეკომენდაციები, წარმოდგენილი იქნა სხვადასხვა დოკუმენტები. რეკომენდაციების უმრავლესობა ეხებოდა სხვადასხვა სილაბუსებს და კონკრეტულ ასპექტებს. შეფასების პროცესში გადამოწმებული იქნა სილაბუსები, შვიდი რეკომენდაციიდან სრულად შესრულებულად ჩაითვალა ექვსი რეკომენდაცია. ერთი რეკომენდაცია, რომელიც არ იყო შესრულებული ეხებოდა იმას რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ მასალებში, კერძოდ სილაბუსებში ფიქსირდებოდა სასწავლო პროცესის სხვადასხვა ხანგრძლივობა და არ იყო აღქმადი თუ რამდენ კვირაზე იყო გაწერილი და რამდენი საკონტაქტო საათი იყო გათვალისწინებული. დასკვნაში ასახული რეკომდაციის თანახმად, რეკომენდირებული იყო სილაბუსებში გამხდარიყო ნათელი თუ რამდენ კვირას გულისხმობდა ესა თუ ის სასწავლი კურსი და ა.შ. მოცემულ ეტაპზე წარმოდგენილი სილაბუსი გაწერილი იყო თექვსმეტ კვირაზე, თემატიკა გახლდათ იგივე, მხოლოდ ზოგიერთ კვირაში იყო გათვალისწინებული უფრო მეტი საათი. დაწესებულების არგუმენტაციის თანახმად არცერთი სილაბუსი არ აღემატებოდა 16 კვირას. აღსანიშნავი იყო, რომ დაწესებულების რეგულაციები არ აკონკრეტებდა კონკრეტულ თარიღებს, დაწესებულების ვებ გვერდზე წინა წლების აკადემიურ კალენდარში მითითებული იყო დაწყების თარიღი მაგრამ არ იყო დაზუსტებული დასრულების თარიღი. ასეთ შემთხვევაში შესაძლოა ჩაითვალოს რომ რეკომენდაცია შესრულებულია, ვიანიდან ამჟამად გასაგები იყო თუ რამდენი კვირა იგულისხმებოდა, მაგრამ ზოგიერთი სილაბუსი მოიცავდა თორმეტ კვირას და ზოგი თექვსმეტ კვირას, რაც იძლეოდა ერთი თვის სხვაობას. შესაბამისად ექსპერტმა ჩათვალა, რომ რეკომენდაცია არ იყო შესრულებული და აკადემიურ თავისუფლებას არ ნიშნავდა თუ რა ხანგრძლივობით ჩაატარებდა ლექტორი კურსს. მან მიმართა საბჭოს წევრებს დაწესებულების პოზიციის მოსმენის შემდგომ გამოსავალი მოეძებნათ აღნიშნული სიტუაციიდან და გაერკვიათ ითვლებოდა თუ არა რეკომენდაცია შესრულებულად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რიპ ოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა გარკვეულ ტექნიკურ უზუსტობას და გაურკვევლობას, რაც საჭიროებდა დაზუსტებას. პროგრამის ფარგლებში ნამდვილად იყო საგანი, რომელიც გაწერილი იყო 16 კვირაზე და საგნები, რომლებიც გაწერილი იყო 12 კვირაზე. აღნიშნული განპირობებული იყო იმით, რომ აღნიშნული საგანი პირდაპირ იყო დაკავშირებული კრედიტების რაოდენობასთან, ვინაიდან საგანი, რომელსაც ენიჭება 8 კრედიტი, თავისთავად საჭიროებდა არამარტო მეტ სამუშაო დროს, არამედ მეტი საკონტაქტო საათების რაოდენობას. აღნიშნული ხელს არ უშლიდა სასწავლო პროცესს და არ არღვევდა დაწესებულებაში არსებულ რეგულაციებს. რაც შეეხებოდა სემესტრებს, სემესტრები მტკიცდებოდა ყოველწლიურად, მათ ენიჭებოდათ როგორც საწყისი ასევე საბოლოო თარიღი და ხანგრძლივობა განისაზღვრებოდა 19 კვირით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, რექტორის ბრძანების შესაბამისად მტკიცდებოდა აკადემიური კალენდარი, რომელიც განაწილებული იყო 19 კვირაზე და აღნიშნულ 19 კვირაზე მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი. მათი პრაქტიკიდან გამომდინარე, იყო შედარებით ხანმოკლე და უფრო ხანგრძლივი სასწავლო

კურსები, მათი ადმინისტრირება ხორციელდებოდა იმგვარად, რომ მათი შეფასების კომპონენტები და გასაჩივრების ვადები განხორციელებულიყო ერთდროულად და შესაბამისად სემესტრიც დასრულებულიყო ერთდროულად. შესაბამისად დაწესებულებას მიაჩნდა, რომ მათი მხრიდან რეკომენდაცია შესრულებული იყო და თანხვედრაში იყო საკანონმდებლო მოთხოვნებთან.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველაზე მეტი საკონტაქტო საათი ჰქონდა თეორიულ საგანს, მესამე კვირაში იწყებოდა ორი საგანი, რომლებსაც ნაკლები საკონტაქტო საათი ეთმობოდა და საბოლოო ჯამში სამივე საგანი ერთდროულად სრულდებოდა სემესტრის ბოლოს. აღნიშნული ნამდვილად არ წარმოადგენდა ხელის შემშლელ ფაქტორს სასწავლო პროცესში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 15:17
დასრულებისდრო: 15:20

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „პოლიტიკის მეცნიერების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „პოლიტიკის მეცნიერების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

3.მესამე საკითხი : სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებულია 2016 წლის 12 ივლისის N 41
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-

8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თელავი 2200, ქართული უნივერსიტეტის ქ.№1
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირიმოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
ექსპერტმა ირინა ქურდაძემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დაედგინა შესაბამისობა პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტების მიხედვით „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამაზე. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია, პირველ სტანდარტთან მიმართებით ჯგუფს არ ჩამოუყალიბებია რეკომენდაციები და რჩევები ვინაიდან პროგრამის მიზნები განსაზღვრული იყო ადეკვატურად, თანხვედრაში იყო უნივერსიტეტის მისიასთან და კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო კურსების მიზნებთან. მიზნები ასახავდა თუ რა ცოდნის, უნარების და კომპეტენციის მქონე იქნებოდა კურსდამთავრებული. პროგრამა ისე იყო შედგენილი, რომ შესაძლებლობას აძლევდა სტუდენტს თეორიულ ცოდნასთან ერთად გამოემუშავებინა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები. პროგრამაში თეორიულ სწავლებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება იყო გამახვილებული პრაქტიკული უნარების გაღრმავებაზე. სწავლის შედეგების ანალიზის შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ პროგრამის

სწავლის შედეგები შეესაბამებოდა კვალიფიკაციის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. პროგრამის სწავლისა და შედეგების რუქა ასახავდა კავშირს პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის. პროგრამის სწავლის შედეგები იყო გაზომვადი და მიღწევადი, დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სწავლის შედეგების შესაბამისი მექანიზმები. მეორე სტანდართან მიმართებით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მკაფიოდ იყო განსაზღვრული, დაწესებულებას პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული ჰქონდა რამოდენიმე უცხოური დაწესებულების გამოცდილება, პროგრამის სტრუქტურის შემუშავებისას შეძლებისდაგვარად გათვალისწინებული იყო უცხოური გამოცდილება. კარგად იყო დაბალანსებული სავალდებულო და არჩევითი საგნები, სასწავლო კურსების ჯამური მოცულობა შეესაბამებოდა საბაკალავრო პროგრამისთვის დადგენილ მოთხოვნებს კრედიტების გადანაწილების თვალსაზრისით, არჩევითი საგნების კომპონენტში გათვალისწინებული იყო სტუდენტის ინტერესი. მიუხედავად აღნიშნულისა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რჩევა იმის თაობაზე, რომ უპრიანი იქნებოდა სამომავლოდ დარგობრივი თვალსაზრისით უფრო მეტად დაბალანსებული ყოფილიყო არჩევითი საგნების შეთავაზება სტუდენტებისათვის.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამას ახორციელებდნენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რაც პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის თანმიმდევრულობას წარმოაჩენდა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთქმული იყო რეკომენდაცია ქართული სამართლის ისტორიის საგნის სწავლებასთან დაკავშირებით, რომელიც ექსპერტების მოსაზრებით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი პროგრმაში სავალდებულო კურსის სახით. აღნიშნული საგნის სილაბუსი დაწესებულებას უკვე ჰქონდა შემუშავებული და ასევე ჰყავდა შესაბამისი კადრი, რომელიც შეძლებდა აღნიშნული საგნის სწავლებას. შეჯამების სახით ექსპერტმა დაადასტურა, რომ პროგრამას დაუდგინდა შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულება ეთანხმებოდა რეკომენდაციას, რომელიც ფაქტიურად უკვე შესრულებული იყო. როდესაც პროგრამამ თავდაპირველად გაიარა აკრედიტაცია, ქართული სამართლის ისტორია ჩასმული იყო სავალდებულო საგნად. თუმცა ადგილი ჰქონდა გაუგებრობას და ტექნიკურ ხარვეზს და მას შემდეგ რაც დაწესებულებამ მიიღო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი, დაუყოვნებლივ გადახედეს პროგრამას და აღმოაჩინეს ხარვეზი. 8 აგვისტოს დაწესებულებაში მოწვეულ იქნა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა და არსებული ხარვეზი გამოსწორებული იქნა. ასევე აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით აღსანიშნავი იყო, რომ როდესაც ცენტრში გაიგზავნა დოკუმენტაცია, იმავე პერიოდში პროფესორების ნაწილს ამოეწურათ აკადემიური თანამდებობის ვადა, რის შემდეგაც გამოცხადდა კონკურსი. აღნიშნულ ეტაპზე პროგრამას ემსახურებოდა სამი აფილირებული პროფესორი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 15:33
დასრულებისდრო: 15:38

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნა, რომ „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

4.მეოთხე საკითხი : სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებულია 2021 წლის 15 ივნისის N 574577
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 8
9	კვალიფიკაციის დასახელება	ენერგეტიკისა და ელექტროინჟნერიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-

11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0713- ელექტრობა და ენერგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	55
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი 0160, მ. კოსტავას ქ., N 77, სასწავლო კორპუსი N3
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- ეკატერინე შაკიაშვილმა
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
ექსპერტმა, ავთანდილ თავხელიძემ განაცხადა, რომ პროგრამასთან დაკავშირებით გაცემული იყო რვა რეკომენდაცია, ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა სტუდენტებისათვის სამეცნიერო ბაზების უკეთესად გაცნობას, აღსანიშნავი იყო რომ დაწესებულბას ამის საშუალება ჰქონდა, დაწესებულების ბიბლიოთეკაში სამეცნიერო ბაზები ხელმისაწვდომი იყო, იძებნებოდა როგორც სათაურები, აბსტრაქტები, ასევე შესაძლებელი იყო სტატიების PDF ვერსიების ჩამოტვირთვა. აღსანიშნავი იყო, თუ სად უნდა გამოექვეყნებინა დოქტორანტს ნაშრომი, რომ შემდგომ სადისერტაციო საბჭოს ჩაეთვალა დამაკმაყოფილებლად. ვინაიდან სხვადასხვა მიმართულებებს განსხვავებული მოთხოვნები ჰქონდათ, შესაბამისად დაწესებულება აკეთებდა ყველაფერს იმისათვის, რომ მოთხოვნები წაყენებული ყოფილიყო სწორად. დაწესებულება ვინაიდან წარმოადგენდა ტექნიკური უნივერსიტეტს, არ ჰყავდა დარგობრივი საბჭოები და ფუნქციონირებდა მხოლოდ ერთი სადისერტაციო საჭო სხვადასხვა მიმართულებებზე. შესაბამისად, უმჯობესი იყო თუ ფაკულტეტებზე წარმოდგენილი იქნებოდა ინდივიდუალური საბჭოები, რაც უფრო მოქნილს გახდიდა სისტემას. შესაბამისად მარტივი იქნებოდა კრიტერიუმების განსაზღვრა თუ რომელ იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში უნდა გამოექვეყნებინა დოქტორანტს. აღნიშნულიდან გამომდინარე დადგენილი იყო ზოგადი მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ გამოქვეყნება უნდა განხორციელებულიყო მაღალრეიტინგულ ჟურნალში. ექსპერტმა რჩევის სახით განაცხადა, მითითება გააკეთა იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალზე.

საბჭოს თავმჯდომრემ მიმართა ექსპერტს მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომლის თანახმად რეკომენდირებული იყო სადოქტორო ნაშრომების გაფორმების და პლაგიატის შემოწმების ერთიანი წესების პრაქტიკაში დანერგვა და დაინტერესდა თუ როგორი იყო მისი შეფასება.
ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებას ჰქონდა ორი პროგრამა იმისათვის რომ შეემოწმებინა პლაგიატზე ნაშრომი. მისი პოზიციით რეკომენდაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შესრულებული იყო.
საბჭოს თავმჯდომარემ გააჟღერა რეკომენდაცია სადაც რეკომენდირებული იყო სადისერტაციო ნაშრომების შესრულების დროს გამოყენებული ყოფილიყო უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურა და მიმართა ექსპერტს დაეფიქსირებინა მისი პოზიცია ასევე იმ რეკომენდაციაზეც, როემლიც ეხებოდა ლაბორატორიების განახლებას აპარატურით და ტექნიკით.
ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ მიაწოდა მას ბოლო წლებში დაცული სადოქტორო ნაშრომები. ნაშრომების ნახევარზე მეტში რეკომენდაციის მოთხოვნა შესრულებული იყო. რაც შეეხებოდა ლაბორატორიებს, უნივერსიტეტის ჰქონდა კარგი ლაბორატორიები, მოხდა მათი განახლება და ახალი ტექნიკით აღჭურვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რიპოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს შეფასებისათვის, მისი განცხადებით შესრულებული იყო ყველა რეკომენდაცია. ხდებოდა ლაბორატორიების განახლება, ასევე პროგრამას თანამშრომლობა ჰქონდა დაწყებული ჟიული შარტავას სახელობის სასწავლო-სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორიასთან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 15:57
დასრულებისდრო: 16:02

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

5.მეხუთესაკითხი : სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1		მასალათმცოდნეობა

	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებულია 2021 წლის 16 ივლისის N 718795
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის ბაკალავრი მასალათმცოდნეობაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719 - ინჟინერია და საინჟინრო საქმე არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი 0171, მ. კოსტავას ქ., N 69, სასწავლო კორპუსი N10
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- ეკატერინე შაკიაშვილმა
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
ექსპერტმა, ავთანდილ თავხელიძემ განაცხადა, რომ პროგრამასთან მიმართებით გაცემული იყო შვიდი რეკომენდაცია, რომლიდანაც შესრულებული იყო ექვსი. ერთი რეკომენდაცია შესრულებული იყო ნაწილობრივ. აღნიშნული რეკომენდაცია ეხებოდა საგანს „ეკონომიკის პრინციპები“. ექსპერტების რეკომენდაცია იყო რომ, საგანი შესწავლილი ყოფილიყო ორ სემეტრსად. რეკომენდაციას დაწესებულება ნაწილობრივ დაეთანხმა, თუმცა აღნიშნული ცვლილება საჭიროებდა ხანგრძლივ ცვლილებებს სხვადასხვა სტრუქტურების მიხედვით, შესაბამისად ვერ განხორციელდა რეკომენდაციის სრულყოფილად გათვალისწინება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „ეკონომიკის პრინციპები“ გახლდათ მერვე სემესტრში თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსი, მოხდა სილაბუსის გადამუშავება თემატიკის დონეზე და მოდიფიცირდა, თუმცა არ მოხდა მისი ორი სემესტრის მანძილზე გაყოფა. საგანი ისწავლებოდა ბოლო სემესტრში თავისუფალი კომპონენტის სტატუსით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 16:07
დასრულებისდრო: 16:10

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

6.მეექვსესაკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული

4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებულია 2021 წლის 02 ივნისის N 515010
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 8
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0711-ქიმიური ინჟინერია და პროცესები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	55
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი 0160, მ. კოსტავას ქ., N 77, სასწავლო კორპუსი N3
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- ეკატერინე შაკიაშვილი
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტმა, ციცინო თურქაძემ განაცხადა, რომ აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 2 ივნისის №515010 გადაწყვეტილებით პროგრამას მინიჭებული ჰქონდა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის და მონიტორინგის განხორციელების პირობით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში ასევე შეფასებული იყო მის მიერ, თუმცა ამავდროულად პროგრამის შეფასების მიზნით ცენტრის მიერ დაინიშნა მონიტორინგი და ექსპერტების ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 1-2 აგვისტოს. ექსპერტთა ჯგუფს დავალებული ჰქონდა პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტების, 3.2, 5.1 და 5.2 კომპონენტების შეფასება. დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდა 13 რეკომენდაცია, მის მიერ შეფასებული წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით მათ სრულად ჰქონდათ შესრულებული შვიდი რეკომენდაცია, ორი რეკომენდაცია იყო შესრულებული ნაწილობრივ ხოლო ოთხი რეკომენდაცია არ იყო შესრულებული. მონიტორინგის ფარგლებში შემუშავდა რეკომენდაციები, რომელიც ეხებოდა სწორედ იმ რეკომენდაციებს რომელიც არ იყო შესრულებული ან ნაწილობრივ იყო შესრულებული. გარკვეულწილად დაკონკრეტდა გარკვეული რეკომენდაციების შინაარსობრივი მხარე. მონიტორინგის ფარგლებში გაცემული იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებული იყო, ლოგიკურ შესაბამისობაში ყოფილიყო მოყვანილი თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებისათვის იდენტიფიცირებული სასწავლო კურსებისა და შესრულების ინდიკატორების ჩამონათვალი, განსაკუთრებით, არჩევით კურსებთან მიმართებით.

2. რეკომენდებული იყო, რომ სწავლის შედეგების ფორმულირებული ყოფილიყო ნათლად, ლიტერატურულად გამართული კონტექსტით.

3. რეკომენდირებული იყო, შესწორებული ყოფილიყო არჩევითი სასწავლო კურსის „გარემოსდაცვითი ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგია“ სწავლის შედეგები და კურსის შინაარსი, ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის სფეროსთან შესაბამისობით და აქცენტირება გაკეთებულიყო ქიმიურ და ბიოლოგიურ ინჟინერიაში გამოყენებულ საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნოლოგიებზე (BAT).

4. რეკომენდებული იყო, რომ სასწავლო კურსისათვის „პროფესორის ასისტენტობა“ შესაბამისობაში ყოფილიყო მოყვანილი პროგრამის სასწავლო გეგმაში აღნიშნული კურსის ფორმატი სილაბუსში წარმოდგენილ კურსის შინაარსთან და ფორმატთან.

5. რეკომენდებული იყო, რიგი სადისერტაციო თემების დასახელება და განსახორციელებელი კვლევები შესაბამისობაში ყოფილიყო მოყვანილი დეტალურ სფეროს - ქიმიური ინჟინერია და პროცესების, ასევე ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის მიმართულების კვლევის საკითხებთან.

6. რეკომენდებული იყო, მკაფიოდ ყოფილიყო განსაზღვრული თუ რომელი წლის დოქტორანტებისათვის როდის შედიოდა ძალაში აკადემიური საბჭოს დადგენილებით (22.05.2022) სტუ-ს დოქტორანტურის დებულებაში შეტანილი ცვლილებები დოქტორანტების პუბლიკაციების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნდა, რომ მოცემული ცვლილება ძალაში უნდა შესულიყო სულ მცირე პირველი და მეორე წლის დოქტორანტებისათვის (ცვლილების მიღების პერიოდიდან), ხოლო მოცემულ პროგრამას მაქსიმალურად უნდა გაეთვალისწინებინა ეს მოთხოვნები ყველა წლის დოქტორანტებისათვის.

7. რეკომენდებული იყო, გაძლიერებულიყო #5 სწავლის შედეგის შესავალი, განმამტკიცებელი და მაფორმირებელი კურსები, სავალდებულო სასწავლო კურსების ფორმატის გაუმჯობესებითა და/ან ინდივიდუალური გეგმის შედგენით, რომელიც მნიშვნელოვანი იყო კვლევითი კომპონენტის შესრულების მზაობისათვის (კვლევით ლაბორატორიაში მუშაობისასთვის).

8. რეკომენდებული იყო, განსაზღვრულიყო სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის/ების

სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობის კრიტერიუმები.
9. რეკომენდებული იყო, გაუმჯობესებულიყო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ძირითადი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ჩატარებულიყო საჭიროების კომპლექსური ანალიზი, გაწერილიყო კონკრეტული ამოცანები, ვადების, პასუხისმგებელი პირებისა და შესრულების ინდიკატორების მითითებით.
10. რეკომენდებული იყო, შემუშავებული ყოფილიყო საჭიროებების კომპლექსურ ანალიზზე დაფუძნებული ქმედითი მოკლევადიანი და გრძელვადიანი დაფინანსების გეგმა მოცემული სადოქტორო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად.
11. რეკომენდებული იყო, შიდა ხარისხის შეფასების ანალიზის შედეგების გამოყენება „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე" სრული ციკლის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი ანალიზის შედეგად დასკვნები უნდა ყოფილიყო კონკრეტული და მომსახურებოდა პროგრამის შემდგომ გაუმჯობესებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ როგორც ექსპერტმა აღნიშნა, პროგრამას გავლილი ჰქონდა არაერთი შეფასება, აკრედიტაციის საბჭოს მიერ განხილული იქნა ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. მისი წარმოდგენით მონიტორინგის პორცესში გარკვეულ ვადაში დაწესებულებას უნდა შეესრულებინა კონკრეტული რეკომენდაციები და საბჭოს სხდომაზეც მათ უნდა ესაუბრათ კონკრეტულ გადადგმულ ნაბიჯებზე, რომელზეც მათ მიუთითა საბჭომ. სხვა შემთხვევაში არც ცენტრალურ და არც ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს არ რჩებოდათ დრო რეალურად ეზრუნათ ხარისხზე, ვინაიდან მუდმივად მიდიოდა პროცესები ანგარიშების და მონიტორინგების მიმართულებით. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს მიგნებებისათვის, მაგრამ მათი მოსაზრებით უმჯობესი იქნებოდა თუ შეფასება შეეხებოდა უშუალოდ გაცემულ რეკომენდაციებს და არ მოხდებოდა პროგრამის მიმართ ახალი მოთხოვნების წაყენება. რაც შეეხებოდა უშუალოდ რეკომენდაციებს, სწავლის შედეგების ფორმულირებასთან დაკავშირებით, მისი მოსაზრებით სწავლის შედეგების ფორმულირება იყო საკმაოდ ნორმალური და ის არ იყო ლიტერატურულად გაუმართავი. თუცა აღნიშნული გახლდათ გარკვეულწილად გემოვნების საკითხი და თუ ფორმულირება არ იყო მოსაწონი კონკრეტული ექსპერტისათვის ეს მითითება არ უნდა ყოფილიყო რეკომენდაცია. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა სწავლის შედეგების შეფასებაში არჩევითი კურსის როლს, აღნიშნული რეკომენდაცია გახლდათ ახალი, ის არ იყო გაცემული საბჭოს მიერ. მისი მოსაზრებით, არცერთი სასწავლო კურსი, იქნებოდა ეს არჩევითი თუ სავალდებულო, თუ მას არ ექნებოდა შემხებლობა სწავლის შედეგებთან, ასეთ კურსს არაფერი ესაქმებოდა პროგრამაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ძირითადი გათვლა კეთდებოდა სავალდებულო სასწავლო კურსებზე, მაგრამ არჩევითი სასწავლო კურსების შეფასებაც ხორციელდებოდა და მონაწილეობას იღებდნენ სწავლის შედეგების ფორმირებაში. ნებისმიერ კურსს კონკრეტულ სწავლის შედეგთან მიმართებით ნამდვილად ჰქონდა შემხებლობა. თუ სტუდენტი არ აირჩევდა კურსს, ვინაიდან კურსი იყო არჩევითი ის არ იყო განმსაზღვრელი სწავლის შედეგთან მიმართებაში, შესაბამისად პრობლემაც არ წარმოიქმნებოდა სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებასთან დაკავშირებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა პუბლიკაციების მოთხოვნასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულების აკადემიურმა საბჭომ უზრუნველყო რეკომენდაციების ანალიზი, სადაც ერთ-ერთ მწვავე საკითხად დადგა პუბლიკაციების საკითხი. შესაბამისად, აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება და დაარეგულირა თუ რამდენი სტატიის გამოქვეყნება მოეთხოვება დოქტორანტს და რომელ ჟურნალში უნდა განხორციელებულიყო აღნიშნული აქტივობის უზრუნველყოფა. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი დარეგულირდა და დაწესებულება არ იდგა გამოწვევის წინაშე. რაც შეეხებოდა დოქტორანტების ხელმძღვანელებს, ახალ

დებულებაში გაიწერა რომ, სადისერტაციო თემის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია დადასტურებული უნდა ყოფილიყო მის მიერ შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით. ასევე განისაზღვრა სტატუსები. რაც შეეხებოდა ბაზების გაუმჯობესებას, დაწესებულება ნამდვილად ამ მხრივ იდგა გამოწვევის წინაშე, თუმცა მიმდინარეობდა სამუშაოები ლაბორატორიების გაუმჯობესების თვალსაზრისით. შემუშავებული იყო გეგმა, რომლის უზრუნველყოფა დაკავშირებული იყო ფინანსებთან და 1 წლის ვადაში ვერ მოასწრო დაწესებულებამ დაგეგმილი ლაბორატირიული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

დაწესებულების წარმომადგენელმა ლაბორატორიულ მეცადინეობებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის მრავალფეროვნების გამო შეუძლებელი იყო ერთიანი უნიფიცირებული კურსის შემუშავება. ლაბორატორიული უნარების გაძლიერება საჭიროების მიხედვით იყო ასახული დოქტორანტის ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმაში, რომელსაც ადგენდა ხელმძღვანელი იმის მიხედვით თუ რა უნარების გაძლიერება იქნებოდა აუცილებელი. რაც შეეხებოდა სადისერტაციო თემებს, ფაკულტეტზე მოქმედებდა მონიტორინგის სისტემა იმისათვის რომ წარმოდგენილი თემები შესაბამისობაში ყოფილიყო სფეროს მოთხოვნებთან. მონიტორინგი მოიცავდა კოლოქვიუმს, წინასწარ დაცვას, გასაუბრებას, რის შემდეგ შესაბამისი კომისია გასცემდა რჩევებს. საჭიროების შემთხვევაში ხორციელებოდა თემების ცვლილება, კორექტირება ან უფრო მკაცრი რეაგირების განხორციელება. აღნიშნული მექანიზმი გამორიცხავდა შეუსაბამოების არსებობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს ესაუბრა 2.3 კომპონენტში მოცემულ პროფესორის ასისტირების საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამის სასწავლო გეგმაში პროფესორის ასისტენტობისათვის მითითებული იყო ლაბორატორიული სამუშაოები. მისი მოსაზრებით მითითებული უნდა ყოფილიყო პრაქტიკული სამუშაოები. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ ვიზიტის დროს განაცხადა, რომ განახორციელებდა კორექტირებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული გახლდათ ტექნიკური ხარვეზი. ცხრილში ამოვარდნილი გახლდათ ერთი გრაფა, რომელიც ჩანაცვლებული იყო აღნიშნული ჩანაწერით. ტექნიკურ ხარვეზს დაწესებულება გაასწორებდა უმოკლეს დროში.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა სწავლის შედეგების ფორმულირებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ნაწილობრივ იზიარებდა როგორც ექსპერტის, ასევე დაწესებულების პოზიციას. მან კითხვით მიმართა ექსპერტს და დაინტერესდა სწავლის შედეგები გადასახედი იყო მხოლოდ ლიტერატურულად გამართულობის და ბუნდოვნად ფორმულირების თვალსაზრისით თუ ასევე ფიქსირდებოდა მიღწევადობის პრობლემაც. ასევე მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და დაინტერესდა თუ როგორ აჩვენებდა დოქტორანტი ანალიზისადმი, განზოგადებისადმი და საჯარო წარდგენისადმი მზადყოფნას, მათ შორის უახლესი სამეცნიერო კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებით. შესაბამისად, თუ რა მოეთხოვებოდა დოქტორანტს. ასევე მას აინტერესებდა თუ რატომ აფასებდა დაწესებულება არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს. როგორ უნდა გაეგო სტუდენტს სწავლის შედეგის მიხედვით სად იყო წარმოდგენილი ძირითადი ნაწილი რომელიც თუ არ აირჩევდა კურსს მაინც მიანიჭებდა ძირითად კომპეტენციას და სად იკვეთებოდა დამატებითი კომპეტენცია არჩევითი კურსების გავლის შემთხვევაში.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სწორედ მესამე სწავლის შედეგი ფორმულირებული უნდა ყოფილიყო შემდგენაირად: აანალიზებს, განაზოგადებს, საჯაროდ წარადგენს კვლევას, მათ შორის სამეცნიერო კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებით. სწორედ ამიტომ იქნა გაცემული ექსპერტების მიერ რეკომენდაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ამავე დროს რეკომენდაცია ეხებოდა არა მხოლოდ პროგრამას არამედ, კონკრეტულ სასწავლო კურსებსაც, სადაც საჭირო იყო აზრობრივად და ლიტერატურული კონტექსტებით სწავლის შედეგების დახვეწა.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა მიმართა ექსპერტს დაეზუსტებინა ხომ არ შეიცვლებოდა სწავლის შედეგები მისი აზრობრივად და ლიტერატურულად ფორმულირების შემდგომ.
ექსპერტმა განაცხადა, რომ გადაიხედა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები და სასწავლო კურსები, რომლებიც გადიოდნენ ზემოთ აღნიშნულ შედეგზე. მისი მოსაზრებით შედეგს უნდა გამოეხატა ანალიზი და არა მზადყოფნის ჩვენება.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ის ვერ ხედავდა განსხვავებას თუ კი სწავლის შედეგი გამოხატავდა რაღაცის კეთებას ან მზაობას რაღაცის გასაკეთებლად. შესაბამისად პროგრამა არ ასწავლიდა მზაობას, არამედ სწავლის შედეგის მიხედვით სტუდენტი იქნებოდა მზად კონკრეტული აქტივობისათვის. შესაბამისად მიღწევადობის თვალსაზრისით პროგრამა შედეგების მიხედვით გახლდათ უზრუნველყოფილი.
ექსპერტმა განაცხადა, რომ საუბარი არ ეხებოდა მხოლოდ პროგრამის სწავლის შედეგებს. ლიტერატურულად სწავლის შედეგების გამართვას რეკომენდაცია ეხებოდა ასევე სილაბუსებში გაწერილ სწავლის შედეგებსაც. აღნიშნული ფორმულირეების დახვეწა იქნებოდა უკეთესი. სწავლის შედეგეი ფორმულირებული უნდა ყოფილიყო ზმნით, თუ რას აკეთებს, რა საშუალებებით აღწევს და რა მეთოდების გამოყენებით უნდა შესრულდეს.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სხვადასხვა კურსში განსხვავებულად იყო ფორმულირებული სწავლის შედეგი, თუმცა დაწესებულება მუდმივად მუშაობდა პროგრამების დახვეწაზე და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მხედველობაში მიიღებდა აღნიშნულ რეკომენდაციას.
საბჭოს თავმჯდომარემ დაინტერესდა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს უკვე განხილული ჰქონდა. იმ შემთხვევაში თუ რეკომენდაციები გხალდათ იდენტური, ვინაიდან მონიტორინგიც დაინიშნა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე რა განსხვავება იყო ანგარიშის განხილვასა და მიმდინარე განხილვას შორის.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ფაქტობრივად არ იყო არანაირი განსხვავება გარდა იმისა, რომ მიმდინარე სხდომაზე მეტი ყურადღება გამახვილდა ზოგიერთ საკითხზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს თუ რატომ ვერ უზრუნველყო დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაციების შესრულება. ვინაიდან მათ ანგარიშის წარმოსადგენად წინამორბედი საბჭოს მიერ განსაზღვრული ჰქონდათ ერთი წელი ანალოგიურად როგორც მონიტორინგის განხორციელებისათვის. შესაბამისად, მას აინტერესებდა საკმარისი იყო თუ არა აღნიშნული დრო იმისათვის რომ დაწესებულებას შეესრულებინა გაცემული რეკომენდაციები.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ შესრულებული ჰქონდათ რეკომენდაციები და წარმოდგენილი ჰქონდათ ანგარიში შესრულების თაობაზე. შემდეგ დანიშნული იქნა მონიტორინგი და საუბარი მიმდინარეობდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ გაცემულ ახალ რეკომენდაციებზე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ მონიტორინგის ფარგლებში მატერიალური ტექნიკური ბაზის დათვალიერებისას გამოკვეთილი იქნა ახალი გარემოებები, რის საფუძველზეც ექსპერტთა ჯგუფმა დაამატა გარკვეული რეკომენდაციები. რაც შეეხებოდა საბჭოს მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, შეუსრულებლად ჩაითვალა მხოლოდ ოთხი რეკომენდაცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ როგორც აღინიშნა მათ წარმოდგენილი ჰქონდათ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში, სადაც ასევე მოცემული იყო ის ქმედებები რომელიც ხორციელდებოდა რეკომენაციის შესასრულებლად. მაგალითად, ლაბორატორიების აღჭურვასთან დაკავშირებით, თემებთან დაკავშირებით და ა.შ. აღსანიშნავი იყო მხოლოდ ის რომ მათ მიერ გაწეული ქმედებები არ აღმოჩნდა საკმარისი. შესრულების შეფასება გახლდათ ექსპერტების საქმე.

საბჭოს წევრი, თეა მჭედლური სადისერტაციო თემის ხელმძღვანელების კრიტერიუმებთან დაკავშირებით დაინტერესდა, არ იყო დეტალურად გაწერილი მათთვის წაყენებული მოთხოვნები თუ იყო გაწერილი მაგრამ თავად ხელმძღვანელები ვერ აკმაყოფილებდნენ მოთხოვნებს. ასევე პროფესორის ასისტირების დროს შესაძლებელი იყო გათვალისწინებული ყოფილიყო როგორც ლაბორატორიული ასევე პრაქტიკული მეცადინეობის შემოწმება. შესაბამისად, საინტერესო იყო თუ რატომ იყო კატეგორიული მოთხოვნა მხოლოდ პრაქტიკულ უნარებზე. ასევე მან მიმართა ექსპერტს დაეზუსტებინა სადისერტაციო თემებთან დაკავშირებით, როდესაც ექსპერტებმა გადახედეს ნაშრომებს შესაბამისობა არ დაფიქსირდა თემების შინაარსის მათ სახელწოდებასთან თუ ადგილი ჰქონდა სხვა პრობლემას.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მთელი რიგი თემები შინაარსობრივად და დასახელებებით არ ჯდებოდა დარგობრივ დეტალურ სფეროში რომელშიც პროგრამა მონაწილეობდა. თუმცა დაწესებულების წარმომადგენლებმა მათ განუცხადეს, რომ შემდგომში მოხდებოდა აღნიშნული თემების დახვეწა და შესაბამისობაში მოყვანა. არსებული მდგომარეობით რიგი სადისერტაციო თემები განსხვავებული იყო დეტალური სფეროსგან. საუბარი ეხებოდა მიმდინარე სადისერტაციო ნაშრომებს რომლებიც ჯერ არ იყო დაცული.

საბჭოს წევრმა თეა მჭდლურმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ როგორ ხდებოდა თემის სათაურის დამტკიცება, რამდენჯერ იყო შესაძლებელი სადისერტაციო თემის სათაურის ცვლილება და რა პროცედურები იყო ამისათვის გათვალისწინებული.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა მიმართა ექსპერტს დაეკონკრეტებინა სწავლის შედეგებთან დაკავშირეული რეკომენდაცია გახლდათ ახალი რეკომენდაცია თუ ის მოცემული იყო საბჭოს მიერ გაცემულ რეკომენდაციებში, რომელიც დაწესებულებამ შეასრულა თუმცა მონიტორინგის ფარგლებში თავიდან შემუშავდა აღნიშნულთან დაკავშირებით ახალი რეკომენდაცია.

ექსპერტმა განაცხადა, რომ არსებული მდგომარეობით რიგი სადისერტაციო თემები არ იყო მოქცეული დეტალურ სფეროში, დაწესებულებას შეეძლო აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა იმის მიხედვით თუ რა რესურსებს გამოიყენებდა. რაც შეეხებოდა პროფესორის ასისტირებას, სასწავლო კურსის ფორმატი გახლდათ პრქტიკა, შესაბამისად დოქტორანტი უნდა დასწრებოდა პრაქტიკულ მეცადინეობას ან ლექციას. რაც შეეხებოდა სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელების კრიტერიუმებს, ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუს ფარგლებში ექსპერტებმა იკითხეს თუ რა კრიტერიუმები უნდა დაეკმაყოფილებინათ სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელებს და რა დოკუმენტით ხელმძღვანელობდნენ. აღმოჩნდა, რომ დაწესებულებაში ზეპირი მითითების მიხედვით დანერგილი იყო რომ დეპარტამენტების მიხედვით დეპარტამენტების სხდომაზე ხდებოდა სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელების შერჩევა და არ იყო დადგენილი ან გაწერილი კონკრეტული კრიტერიუმები. სწორედ ამის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ იყო შემუშავებული რეკომენდაცია. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას სწავლის შედგებთან დაკავშირებით, პირველადი აკრედიტაციის პროცესში გაცემული იყო რეკომენდაცია გარკვეული სწავლის შედეგების მოდერნიზების შესახებ, რომელიც დაწესებულების მიერ გათვალისწინებული იყო, თუმცა ექსპერტებმა მიიჩნიეს რომ პროგრამაში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო პროცესზე დაფუძნებული სწავლის შედეგი, შესაბამისად დაწესებულებას უნდა განეხორციელებინა შედეგების რეფორმულირება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დოქტორანტის შემხებლობა კვლევით კომპონენტთან იწყებოდა მხოლოდ მეორე წლიდან, რაც ნიშნავდა რომ მას უნდა წარმოედგინა პროსპექტუსი, შემდგომ ეტაპებზე კოლოქვიუმი და გაევლო შემოწმება. აღნიშნულ ეტაპზე ყოველი თემის დასახელება შესაბამისობაშია საკვლევ თემატიკასთან. თემის წინასწარ დაცვამდე ხდებოდა სათაურების კორექტირება. ასევე შემუშავდა თითოეული დოქტორანტის სამეცნიერო ინდივიდუალური გეგმა. გეგმაში გათვალისწინებული სტუდენტის ყველა შესაძლო საჭიროება, რაც დამოკიდებული იყო საკვლევ თემატიკაზე. ასევე დებულებაში გაწერილი იყო თუ როგორ ხდებოდა პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნა, თუმცა

დებულებაში არ იყო დეტალურად გაწერილი თუ რა კრიტერიუმები უნდა დაეკამყოფილებინა პირს იმისათვის რომ ყოფილიყო დოქტორანტის ხელმძღვანელი. ასევე აღსანიშნავი იყო, რომ დაცულ დისერტაციებში არ ფიქსირდებოდა დეტალურ სფეროსთან აცდენა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულება იმსჯელებდა შეუსრულებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით და მაქსიმალურად გაითვალისწინებდა მათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 17:17
დასრულებისდრო: 17:47

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 12

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დაევალოს 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს რეკომენდაციები რომლებიც მოცემულია ოქმში.

განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია,ლოგიკურ შესაბამისობაში მოვიდეს თითოეული სწავლის შედეგის მიღწევისშეფასებისათვის იდენტიფიცირებული სასწავლო კურსებისა და შესრულების ინდიკატორების ჩამონათვალი, განსაკუთრებით, არჩევით კურსებთან მიმართებით.
2.რეკომენდებულია, რომ სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს ნათლად, ლიტერატურულად გამართული კონტექსტით.
3.შესწორდეს არჩევითი სასწავლო კურსის „გარემოს დაცვითი ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგია“ სწავლის შედეგები და კურსის შინაარსი, ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის სფეროსთან შესაბამისობით და აქცენტირება გაკეთდეს ქიმიურ და ბიოლოგიურ ინჟინერიაში გამოყენებულ საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნოლოგიებზე (BAT).
4.რეკომენდებულია, რომ სასწავლო კურსისათვის „პროფესორის ასისტენტობა“ შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სასწავლო გეგმაში აღნიშნული კურსის ფორმატი სილაბუსში წარმოდგენილ კურსის შინაარსთან და ფორმატთან.
5.რიგი სადისერტაციო თემების დასახელება და განსახორციელებელი კვლევები შესაბამისობაში მოვიდეს დეტალურ სფეროს - ქიმიური ინჟინერია და პროცესების, ასევე ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის მიმართულების კვლევის საკითხებთან.
6.მკაფიოდ განისაზღვროს თუ რომელი წლის დოქტორანტებისათვის როდის შედის ძალაში აკადემიური საბჭოს დადგენილებით (22.05.2022) სტუ-ს დოქტორანტურის დებულებაში შეტანილი ცვლილებები დოქტორანტების პუბლიკაციების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ მოცემული ცვლილება ძალაში უნდა შევიდეს სულ მცირე პირველი და მეორე წლის დოქტორანტებისათვის (ცვლილების მიღების პერიოდიდან), ხოლო მოცემულმა პროგრამამ მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს ეს მოთხოვნები ყველა წლის დოქტორანტებისათვის.

7 .გაძლიერდეს #5 სწავლის შედეგის შესავალი, განმამტკიცებელი და მაფორმირებელი კურსები, სავალდებულო სასწავლო კურსების ფორმატის გაუმჯობესებითა და/ან ინდივიდუალური გეგმის შედგენით, რომელიც მნიშვნელოვანია კვლევითი კომპონენტის შესრულების მზაობისათვის (კვლევით ლაბორატორიაში მუშაობისასთვის).
8. რეკომენდებულია, განისაზღვროს სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის/ების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კრიტერიუმები.
9 . რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ძირითადი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ჩატარდეს საჭიროების კომპლექსური ანალიზი, გაიწეროს კონკრეტული ამოცანები, ვადების, პასუხისმგებელი პირებისა და შესრულების ინდიკატორების მითითებით.
10 . შემუშავდეს საჭიროებების კომპლექსურ ანალიზზე დაფუძნებული ქმედითი მოკლევადიანი და გრძელვადიანი და ფინანსების გეგმა მოცემული სადოქტორო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად.
11.რეკომენდებულია, შიდა ხარისხის შეფასების ანალიზის შედეგების გამოყენება„ დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე" სრული ციკლის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი ანალიზის შედეგად დასკვნები იყოს კონკრეტული და ემსახურებოდეს პროგრამის შემდგომ გაუმჯობესებას.

7. მეშვიდე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საინჟინრო გეოდეზიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საინჟინრო გეოდეზია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებულია 2021 წლის 16 ივლისის N 718788
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	საინჟინრო გეოდეზიის და გეოინფორმატიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	

		0719- ინჟინერია და საინჟინრი საქმე, არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი 0160, მ. კოსტავას ქ., N 77, სასწავლო კორპუსი N3
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

8. მერვე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საინჟინრო გეოდეზიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საინჟინრო გეოდეზია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებულია 2021 წლის 15 ივლისის N 714533
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	საინჟინრო გეოდეზიის და გეოინფორმატიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719- ინჟინერია და საინჟინრი საქმე, არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი 0160, მ. კოსტავას ქ., N 77, სასწავლო კორპუსი N3

15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

9. მეცხრე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საინჟინრო გეოდეზიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საინჟინრო გეოდეზია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებულია 2021 წლის 15 ივლისის N 714499
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 8
9	კვალიფიკაციის დასახელება	საინჟინრო გეოდეზიის და გეოინფორმატიკის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719- ინჟინერია და საინჟინრი საქმე, არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი 0160, მ. კოსტავას ქ., N 77, სასწავლო კორპუსი N3
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- ეკატერინა შაკიაშვილი
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე, მერვე და მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
ექსპერტი მამუკა ბენაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ „საინჟინრო გეოდეზიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით გაცემული იყო ორი რეკომენდაცია და სამი რჩევა.
რეკომენდირებული იყო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში ყოფილიყო მოყვანილი თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
რეკომენდირებული იყო ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით პერიოდულად განხორციელებულიყო პროგრამის ყველა ასპექტის (მათ შორის, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის უსაფრთოხოდ გამოყენების) კომპლექსური, მრავალმხრივი შეფასება, პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის დადგენა.
ორივე რეკომენდაცია მისი შეფასებით გახლდათ შესრულებული. აღსანიშნავი იყო, რომ პირველი რეკომენდაცია არ იყო გაცემული აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ, ის გახლდათ დამატებული წინა აკრედიტაციის საბჭოს მიერ, რომელიც ეხებოდა პროგრამის შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა დოკუმენტაცია, რომლის თანახმად ირკვეოდა რომ, მათ ჩატარებული ჰქონდათ არაერთი შეხვედრა დამსაქმებლებთან, განხილული იყო თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნები. შესაბამისად, რეკომენდაცია გახლდათ შესრულებული. დაწესებულება მომავალშიც გეგმავდა დამსაქმებლებთან აქტიურ თანამშრომლობას. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა SWOT ანალიზი, შესაბამისად დაწესებულებას გათვალისწინებული და შესრულებული ჰქონდა მეორე რეკომენდაციაც.
რაც შეეხებოდა „საინჟინრო გეოდეზიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას, გაცემული იყო ათი რეკომენდაცია და ცხრა რჩევა, მოცემულ პროგრამასთან მიმართებით შესრულებული და გათვალისწინებული გახლდათ ყველა რეკომენდაცია. „საინჟინრო გეოდეზიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაშიც გათვალისწინებული იყო ყველა რეკომენდაცია. დამატებით ექსპერტმა განაცხადა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია, ეხებოდა ახალგაზრდა კადრების მოზიდვას და პროგრამის განხორციელებაში ჩართვას, რაც დაწესებულების მიერ განხორციელებული გახლდათ. მისი მოსაზრებით აღნიშნული პროგრამები სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გახლდათ ერთ-ერთი საუკეთესო პროგრამები, რაც მეტწილად განპირობებული იყო კადრების საკითხით. სადოქტორო პროგრამაში განმახორციელებელი პერსონალი და დოქტორანტები საკმაოდ კარგად ფლობდნენ უცხო ენას, აკადემიურ პერსონალს ჰქონდა უცხო ქვეყნებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, მონაწილეობას იღებდნენ გაცვლით პროგრამებში. ყოველივე აღნიშნული ასევე მიუთითებდა, რომ დაწესებულება კარგად ახორციელებდა ინტერნაციონალიზაციის კომპონენტსაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს შეფასებისთვის და აღნიშნა რომ პროგრამები გახლდათ გამორჩეული, ფაკულტეტს ხელმძღვანელობდა გამოცდილი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და დარგის ძლიერი სპეციალისტები. თითოეული რეკომენდაცია დაწესებულების მიერ სრულიად იქნა შესრულებული. ამასთან აღინიშნა, რომ ხორციელდება კორპუსის გარემონტება, ხორციელდებოდა ტექნიკური ბაზების განახლება, რაც ემსახურებოდა პროგრამების დახვეწას და განვითარებას. ასევე მუდმივად გაგრძელდებოდა მუშაობა პროგრამების დადარებაზე და გაცვლითი ვიზიტების უზრუნველყოფაზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 17:55
დასრულებისდრო: 18:05

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საინჟინრო გეოდეზიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საინჟინრო გეოდეზიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საინჟინრო გეოდეზიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საინჟინრო გეოდეზიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საინჟინრო გეოდეზიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს

მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საინჟინრო გეოდეზიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 16 სექტემბრის 18:05სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით